ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერის 1 მარტის ბრძანებით შექმნილი

სამუშაო ჯგუფის სხდომა

ო ქ მ ი N1

დ.ლენტეხი

2025 წლის 21 აგვისტოს 15 საათზე ჩატარდა ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2026-2029 წლის პრიორიტეტების დოკუმენტების მომზადების მიზნით სამუშაო ჯგუფის სხდომა.

სხდომას თავმჯდომარეობდა გია ონიანი ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერი - „ სამუშაო ჯგუფის „ თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ სამუშაო ჯგუფის წევრები: 1)მარადი ლიპარტელიანი მერის პირველი მოადგილე-სამუშაო ჯგუფის თანათავმჯდომარე. 2)ტახუ ჩანქსელიანი,მერიის საფინანსო სამსახურის ხელმძღვანელი - ფინანსური სამსახურის უფროსი,სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი. 3) სოზარ ბენდელიანი მერიის ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელი,სამსახურის უფროსი 1 და/მუდმივი წარმომადგენელი. 4)ლევან ლიპარტელიანი მერიის ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის ხელმძღვანელი,სამსახურის უფროსი 1 და/მუდმივი წარმომადგენელი. 5) ბაჩუკი გაზდელიანი მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის ხელმძღვანელი, სამსახურის უფროსი.2 და/მუდმივი წარმომადგენელი. 6) მედიკო ხვისტანი,მერიის განათლების,კულტურის,სპორტისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სამსახურის ხელმძღვანელი-მერიაში გენდერზე პასუხისმგებელი პირი. 7) ლამზირა გუგავა,საკრებულოს საბიუჯეტო საფინანსო კომისიის თავმჯდომარე - საკრებულოს კომიტეტების თავმჯდომარეები ან მათი მუდმივი წარმომადგენლები.

დღის წესრიგი:

ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2026-2029 წლის პრიორიტეტების და ასიგნების ზღვრული მოცულობების დადგენა: სამუშაო ჯგუფის მიერ მომზადებული პრიორიტეტების საშუალოვადიანი დოკუმენტის პირველადი ვარიანტი,რომლითაცგანსაზღვრულია პრიორიტეტების 2026-2029 წლების ასიგნების ზღვრული მოცულობები(ჭერები) შედეგების მოწონების შესახებ.

მომხსენებელი: ბ.ნ ტახუ ჩანქსელიანი

ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერმა ბ.ნ გია ონიანმა კენჭი უყარა , თუ ვინ არის მომხრე დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით. სხდომაზე დამსწრე ჯგუფის წევრები თანახმა არიან, დამტკიცდეს დღის წესრიგი წარმოდგენილის სახით.

მოისმინეს ლენტეხის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები და პროგრამები საშუალოვადიან პერიოდში.

„პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 8 ივლისის N385 ბრძანებითგანსაზღვრული წესის შესაბამისად მუნიციპალიტეტის საფინანსო სამსახურის უფროსმა ბ.ნ ტახუ ჩანქსელიანმა წარმოადგინა ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2026-2029 წწ პრიორიტეტების დოკუმენტის პირველადი ვარიანტი. აღნიშნა, რომ დამატებითი ფინანსური რესურსების მობილიზების შემთხვევაში შემდგომში შესაძლებელი იქნება გადაიხადოს 2026-2029 წლების პრიორიტეტების და პროგრამების ასიგნენების ზღვრული მოცულობები.

სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარემ ბ.ნ გია ონიანმა სთხოვა სამუშაო ჯგუფის წევრებს კენჭი ეყარათ, თუ ვინ არის მომხრე,მოწონებული იქნეს სამუშაო ჯგუფის მიერ მომზადებული პრიორიტეტების საშუალოვადიანი დოკუმენტის პირველადი ვარიანტი,რომლითაც განსაზღვრულია პრიორიტეტების 2026-2029წწ-ის ასიგნებების ზღვრული მოცულობები. კენჭისყრის შედეგად ხმათა აბსოლიტური უმრავლესობით სამუშაო ჯგუფმა დაგაწყვიტა: მოწონებულ იქნას ლენტეხის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები და პროგრამები საშუალოვადიან პერიოდში და ეთხოვოს საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს.

საბიუჯეტო პროცესის შემდგომი წარმართვის მიზნით: ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2026-2029 წწ-ის პრიორიტეტების დოკუმენტის პირველადი ვარიანტის მოწონების შემდგომ საფინანსო სამსახურმა პროგრამების

განმახორციელებელ დარგობრივ სამსახურებს, ა(ა)იპ-ებს და შპს-ეებს გაუგზავნოს საბიუჯეტო განაცხადის ფორმები.

მიმდინარე წლის 15 სექტემბერს პროგრამების განმახორციელებელმა შესაბამისმა დარგობრივმა სამსახურმა,ა(ა)იპ-ებმა და შპს-ეებმა საფინანსო სამსახურს საბიუჯეტო განაცხადის შევსებული ფორმები წარმოუდგინონ მუნიციპალიტეტის საფინანსო საბიუჯეტო სამსახურს 2026-2029 წწ-ის ბიუჯეტის ზღვრული მოცულობის ფარგლებში. ამასთან ზღვრული მოცულობის ზემოთ ასიგნებები შესაძლებელია წარმოდგენილ იქნას საბიუჯეტო განაცხადის ფორმით განსაზღვრული წესის შესაბამისად კერძოდ, მოთხოვნილი გაზრდილი დაფინანსება დასაბუთებული უნდა იქნას პროგრამის ინდიკატორის გაზრდილი სამიზნე მაჩვენებლით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვის შემდეგ ბ.ნ გია ონიანმა სამუშაო ჯგუფის სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე: /გია ონიანი/

სამუშაო ჯგუფის წევრები: /მარადი ლიპარტელიანი/

/ტახუ ჩანქსელიანი/

/სოზარ ბენდელიანი/

/ლევან ლიპარტელიანი/

/ბაჩუკი გაზდელიანი/

/მედიკო ხვისტანი/

/ლამზირა გუგავა/